



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

გეოგრაფიის დეპარტამენტი

სამაგისტრო პროგრამა:  
**გეოგრაფია**  
(რეგიონული გეოგრაფია და რეკრეაციული რესურსები)

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულება:  
საბუნებისმეტყველო

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:  
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მაგისტრი გეოგრაფიაში

პროგრამის მოცულობა:  
120 ECTS კრედიტი (4 სემესტრი)

პროგრამის ხელმძღვანელები: ასოცირებული პროფესორი დალი მიქაუტაძე

საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონი: 41629 (სამს.) 72875 (სახლი)

ქუთაისი  
2008

## სამაგისტრო პროგრამის დახასიათება

- **პროგრამის მიზანი და ამოცანები** – სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ რეგიონების მიხედვით ბუნების კომპონენტებისა და ელემენტების რთულ ურთიერთობათა სრულფასოვან წარმოდგენას და მისგან გამომდინარე მოვლენების ზოგადგეოგრაფიული კანონების შეცნობას. მოახერხებენ ქვეყნის მდიდარი რეკრეაციული რესურსების მართვა-განვითარებას და შექმნიან ადეკვატურ ტექნიკურ სტრუქტურებს ამ რესურსების მიზანმიმართულად გამოყენებისათვის. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მოემსახურებიან ტურისტულ ფირმებსა და ორგანიზაციებს.
- **მოსალოდნელი შედეგები** – სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულის დარგობრივი კვალიფიკაცია იქნება საბუნებისმეტყველო მეცნიერების მაგისტრი რეგიონულ და რეკრეაციულ გეოგრაფიაში. მას ექნება აკადემიური ცოდნა რეგიონების გეოგრაფიის, მისი ცალკეული კომპონენტების და მდიდარი ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების განვითარების, გამოყენების და მართვის შესახებ. მისი თეორიული ცოდნა განმტკიცებული იქნება საწარმოო და საველე (პროფესიული) სამუშაოების დროს შექმნილი ჩვევებით. ექნება კარტოგრაფიული მასალის ანალიზის გამოცდილება, აგრეთვე ექსტრემალურ სიტუაციაში სწრაფი რეაგირებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი.
- **დასაქმების სფერო** – აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს საშუალება ექნება იმუშაოს შესაბამისი პროფილის სასწავლო-კვლევით და სამეცნიერო დაწესებულებებში (სკოლა, კოლეჯი, უმაღლესი სასწავლებელი), გარემოს დაცვის, მიწათმოწყობისა და კადასტრის, აგრეთვე სატყეო დეპარტამენტებში, დაცული ტერიტორიების სისტემებში (ნაკრძალები, ეროვნული პარკები და სხვა); საშუალება ექნება იმუშაოს ტურიზმის დეპარტამენტში, ტურისტულ სააგენტოებსა და კომპანიებში, კურორტებზე და სასტუმროებში ადმინისტრაციის ხელმძღვანელებად. განაგრძოს სწავლა დოქტურანტურაში.

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

პროგრამის სტრუქტურა ემყარება პროგრამისათვის სავალდებულო კურსებს

№	საგნის დასახელება	საგნის სტატუსი სავალდებულო, არჩევითი	კრედიტების საერთო რაოდენობა	კრედიტების განაწილება			
				სემესტრები			
				I	II	III	IV
1.	საქართველოს რეგიონული გეოგრაფია	სავალდებულო	10	5	5		
2.	საქართველოს კლიმატი და კლიმატური რესურსები	სავალდებულო	5		5		
3.	საქართველოს გეომორფოლოგია	სავალდებულო	5	5			
4.	ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები	სავალდებულო	5		5		
5.	ბისეკის ქვეყნების გეოგრაფია	სავალდებულო	5			5	
6.	საქართველოს კურორტები	სავალდებულო	5			5	
7.	გამოყენებითი გეოეკოლოგია	სავალდებულო	5		5		
8.	საქართველოს გეოინფორმაციული სისტემები	სავალდებულო	5			5	
9.	საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები და დარაიონება	სავალდებულო	5	5			
10.	საქართველოს სოციო-კულტურული დინამიკა	სავალდებულო	5	5			
11.	პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური დისციპლინები	სავალდებულო	10	5	5		
12.	უცხო ენა დარგობრივი ასპექტით	სავალდებულო	10	5	5		
13.	პროფესიული პრაქტიკა		5			5	
14.	საკურსო ნაშრომი	სავალდებულო	10			10	
15.	სამაგისტრო ნაშრომი	სავალდებულო					30
	სულ:		120	30	30	30	30

## სტუდენტთა შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.